



პრესრელიზი

30 იანვარი 2012 წელი

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან პარტნიორობით მართავს მრგვალ მაგიდას: „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანულ კანონში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებულ თემაზე.

ორგანიზაციებს მიაჩნიათ, რომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში და სისხლის სამართლის კოდექსში 2011 წლის დეკემბერში განხორციელებული ცვლილებები საფრთხეს უქმნის გამოხატვისა და საკუთრების უფლებებს და აქვს სამოქალაქო - პოლიტიკური აქტივობების შემზღვეველი ეფექტი, ასევე, ქმნის არათანასწორ საარჩევნო გარემოს. კანონით დაწესებული შეზღუდვები, ხშირ შემთხვევაში, არაგონივრულია, ხოლო სანქციები - არაპროპორციული.

მრგვალი მაგიდა გაიმართება პროექტის ფარგლებში „სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და აქტიურობის ხელშეწყობა“, ფონდი „ღია საზოგადოება- საქართველო“-ს ფინანსური მხარდაჭერით. აღნიშნულ შეხვედრას დაესწრებიან ადგილობრივი თვითმმართველობის, პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლები და მოქალაქეები.

შეხვედრა გაიმართება:

30 იანვარი

ქ. ქუთაისი 15:30 სამართლიანი არჩევნების რეგ. ოფისი, წერეთელის ქ. №27

ქ. ზუგდიდი 13:00 სამართლიანი არჩევნების ყოფილი რესურსცენტრის ოფისი,

მის: თაბუკაშვილის ქ. №15

31 იანვარი

ქ. თელავი 13:00 „საია“-ს ოფისი, ერეკლეს მოედანი №1.

ქ. გორი 13:00 დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი, სტალინის ქ. №7,

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

თამარ ჯიჯიხია

ტელ: 555 97 44 74

ელ-ფოსტა: pr@isfed.ge